ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N28

2021 წლის 28 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 მარტის განჩინებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2021 წლის 13 აპრილის N133-02-07 დასკვნის საფუძველზე საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ვიტალი ქარცივაძეს შეუჩერდეს უფლებამოსილება 2021 წლის 6 აპრილიდან;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მ.ჟორდანია);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი